N 299 25/07/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს "
სხდომის ოქმი №6

ქ.ლანჩხუთი
24.07.2019 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის წევრები:

ბესიკ ტაბიძე, ზაალ სანაძე, კახა ბოლქვაძე, ციცინო ჩხაიძე, კახა თედორაძე, ვლადიმერ ნანაძე, გოდერძი ქურიძე, რევაზ კვერენჩხილაძე, რეზო კვაჭაძე, გიორგი გვარჯალაძე

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი ომარ ჯანაძე ,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ბესიკ კუპრაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ბესიკ კუპრაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: ბესიკ კუპრაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ბესიკ კუპრაძე/

4. სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო **მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი ომარ ჯანაძე.**

მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გადმოგზავნილი იქნა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 12 ივლისის N1331 მოხსენებითი ბარათი, რომელიც ითვალისწინებს უკვე ინიცირებულ პროექტში გარკვეული ცვლილებების შეტანას, კერძოდ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში (დანართი 1) დაემატა ქალაქ ლანჩხუთში, ურუშაძის ქ. N1-ა-ში მდებარე 368კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 341,02კვ.მ (საკადასტრო კოდი 27.06.52.116); ქალაქ ლანჩხუთში, ურუშაძის ქუჩა N1-ბ-ში მდებარე თანასაკუთრებაში არსებული 470,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და პირველ სართულზე განთავსებული შემდეგი ფართები: პირველი სართული-57.05 კვ.მ. ს/კ 27.06.52.119.01.503; პირველი სართული-47,02კვ.მ ს/კ 27.06.52.119.01.502; პირველი სართული- 54,92კვ.მ ს/კ 27.06.52.119.01.501; პირველი სართული- 62,98კვ.მ ს/კ 27.06.52.119.01.500; ქალაქ ლანჩხუთში, ურუშაძის ჩიხში მდებარე 597,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.52.551); ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ გვიმბალაურში მდებარე 2715,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.08.47.386). მან ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში დაემატა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გვიმბალაურში მდებარე 2715,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.08.47.368) ღირებულებით 16300 ლარი.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 11, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო

სკოლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას **მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი ომარ ჯანაძე.**

მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის 28 ივნისს #13 წერილით მომართა ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ (ს/ნ 433650462) დირექტორმა თეიმურაზ ალექსაიამ- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ 27.06.56.688; 27.06.52.448 და 27.09.46.010 საკადასტრო კოდებით არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. მისი განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემა ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისათვის“ არის მიზანშეწონილი, რადგან ის შეძლებს მისთვის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების სრულფასოვნად განხორციელებას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა რომ არსებული უძრავი ქონების (სტადიონების) რეაბილიტაცია 420 ათას ლარის ღირებულებისაა. მისი თქმით ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე ილია ბეგიაშვილთან შეთანხმების შემდეგ გადაწყდა რომ ამ ეტაპზე მოძიებულ იქნება თანხა ორი სტადიონის რეაბილიტაციისთვის.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 11 , წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მესამე საკითხი:„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება სხდომას გააცნო **მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ.**

მან განმარტა,რომ „ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N554 განკარგულებაში, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 02 ივლისის N1510 განკარგულებით შესული ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტს გამოეყო 185209 ლარი, ადმინისტრაციულ ერთეულებში საექიმო ამბულატორიის რეაბილიტაციისა და მშენებლობის დასაფინანსებლად აქედან: აკეთის 20418 ლარი, აცანის 22030 ლარი, შუხუთის 21765 ლარი, ნიგოითის 27828 ლარი, სუფსის საექიმო ამბულატორიის მშენებლობის ტერიტორიის მომზადება 11430 ლარი, სუფსის საექიმო ამბულატორიის მშენებლობა 81828 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში, 2019 წლის 4 ივნისს N1283 განკარგულებით შესული ცვლილებების შედეგად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა შემცირდა 324265 ლარით, აქედან სახელმწიფო ფონდის ხარჯზე 308451 ლარი, მ.შ. წყლის სისტემის რეაბილიტაცია 261564 ლარი, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაციაზე 38888 ლარი, გზების რეაბილიტაციაზე 7999 ლარი. 2019 წლის 10 ივლისის N1594 განკარგულებით შესული ცვლილებით გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები შემცირდა 22086 ლარით სახელმწიფო ფონდის ხარჯზე. 2019 წლის 15 მარტის N557 განკარგულებაში მიმდინარე წლის 10 ივნისს N1326

განკარგულებით შესული ცვლილებების შედეგად გზების რეაბილიტაციის სამუშაოები შემცირდა 28025 ლარით, მ.შ. სახელმწიფო ფონდის ხარჯზე 26063 ლარი.

განვლილ საფინანსო პერიოდში ბიუჯეტის აღსრულების მიმდინარეობის ანალიზით გამოიკვეთა, რომ დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში უნდა განხორციელდეს შიგა ცვლილებები მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის არაფინანსური აქტივების მუხლის ხარჯის 99500 (საკრებულო 45500 ლარი, მერია 58000 ლარი) შემცირების ხარჯზე უნდა გაეზარდოთ დაფინანსება ააიპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს არაფინანსური აქტივების მუხლი 50000 ლარით, ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის 30000 ლარით, მ.შ. შრომის ანაზღაურების მუხლი 3920 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 26080 ლარი, საპროექტო სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურეობა გაიზარდოს 8500 ლარით, მედიკამენტის შეძენაზე დახმარების პროგრამა გაიზარდოს 5000 ლარით, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამის დაფინანსება გაიზარდოს 10000 ლარით.კულტურის ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდოს 1000 ლარით და განათლების ღონისძიებები 1000 ლარით.

ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ოფისის ხარჯის 16750 ლარით შემცირებით გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 3750 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 13000 ლარით. სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებას დამატებით გამოეყოს 4000 ლარი შტატგარეშე მუშაკთა ხელფასების დასაფინანსებლად.

შიდა გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების დაფინანსება გაიზარდოს 5000 ლარით. საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების ღონისძიების დასაფინანსებლად (ვიდეო კამერების ინსტალაციისათვის) 763 ლარით, სპორტული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდოს 1100 ლარით.

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯზე 16863 ლარის ფარგლებში.

ფრაქციის თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძემ დასვა შეკითხვა თუ კონკრეტულად რატომ იზრდება ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლისთვის დაფინანსება 30000 ლარის ოდენობით.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ აღნიშნული თანხიდან 3700 ლარი მიმართული იქნება შტატიანი თანამშრომლებისთვის შრომის ანაზღაურებისთვის დასაფინანსებლად, ხოლო დარჩენილი 26,300 ლარი შტატგარეშე თანამშრომლების სახელფასო თანხის ასანაზღაურებლად.

დეპუტატმა გიორგი გვარჯალაძემ განაცხადა, რომ როცა მოხდა ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის გამოყოფა სპორტულ ცენტრის შემადგენლობიდან ,მათი მხრიდან იყო განაცხადი რომ ფინანსური ცვლილება არ განხორციელდებოდა ,თუმცა უკვე მეორედ შემოდის ა(ა)იპის ხელმძღვანელობის მხრიდან თანხის დამატების მოთხოვნა.

დეპუტატმა კახა ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბ „ჩიბათს“ ბევრი წარმატება აქვს ამიტომ სასურველი იქნება თუ კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერა ექნება და მოძიებული იქნება სპონსორი ამ კლუბის შემდეგი წარმატებისთვის, რადგან მომავალი წლისათვის ფეხბურთის ფედერაციის ფონდი არ იქნება დღის წესრიგში დადგება კლუბის ფუნქციონირების პრობლემა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის საშტატო შემადგენლობას დაემატა მხოლოდ ა(ა)იპ-ის მოადგილის თანამდებობა. ასევე მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს არ აქვს შესაძლებლობა დააფინანსოს ორი საფეხბურთო კლუბი. რადგან დღემდე კლუბში არის დავალიანება, წინა ხელმძღვანელობის პერიოდის.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ აქვს საუკუნოვანი ისტორია. კლუბის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ „ლანჩხუთის გურიას“ დასაფინანსებლად მიმდინარე წელს მოიზიდა 140 ათასი ლარამდე, ხოლო შემდეგი წლისთვის გეგმავს 200 ათას ლარამდე თანხის ინვესტიცირებას. მისი თქმით აუცილებელია მოიძებნოს სპონსორი, რომელიც

საფეხბურთო კლუბის ბაზით დაინტერესდება და ამ ბაზის საშუალებით დაეხმარება კლუბს შემდგომი წარმატების მისაღწევად.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 11 , წინააღმდეგი არცერთი

სხვადასხვა

დეპუტატმა კახა თედორაძემ აღნიშნა ,რომ აუცილებელია გრიგოლეთის პლაჟზე გრეიდერის გადატარება.

დეპუტატმა კახა ბოლქვაძემ განაცხადა, რომ მოსახლეობასთან შეხვედრის დროს გამოითქვა პროტესტი საძოვრებიდან მინდვრის საფარის მოპარვასთან დაკავშირებით.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა

ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის თავმჯდომარე
ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"